ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომის ოქმი №44

ქ. თბილისი 7 ნოემბერი 2013 წელი.

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომრის
მოადგილე კახაბერ ნიაური

კომისიის აღმასრულებელი
მდივანი ლევან გეგეშიძე

კომისიის წევრები: ნინო გვენცაძე, დავით მახარობლიშვილი, გია აბულაძე, გიორგი ჩაჩანიძე, ნიკოლოზ ჩხაიძე, მანუჩარ მახათაძე.

მოწვეულები: ო. ჯაფარიძე, მ. ბოლქვაძე, დ. ლოსაბერიძე, დ. ადამია, გ. მეტრეველი, ს. ახვლედიანი, დ. მაღრაძე, ალ. მიქაძე, გ. ჯავახიშვილი, დ. სიმონიშვილი, მ. ხვისტანი, ლ. სიმონიშვილი, ნ. სიმონიშვილი, ნ. ფარცხალაძე, ა. სანიკიძე, ვ. ნადირაშვილი, თ. ბალიაშვილი, კ. გარსევანიძე, ალ. ტყეშელაშვილი, თ. ბერუაშვილი, დ. ბერუაშვილი, ია ბაშარული, გ. ბედიანიძე, ბ. კალაძე, ლ. კვეტენაძე, ლ. ხიდეშელი, ლ. მოსულიშვილი, ნ. ნიკოლაიშვილი, გ. შენგელია, მ. გოგიშვილი, თ. ბრეგვაძე, დ. სარაჯიშვილი, დ. შაფაქიძე, დ. ბახტაძე, თ. გოგიაშვილი, პ. გიორგაძე, ს. ალავიძე, მ. ბერიაშვილი, ზ. ცერცვაძე, ლ. სატალმიშევა, ა. მურადხანოვი, ირ. ბარნაბიშვილი, თ. დვალი, ა. ხომერიკი, დ. გოგატიშვილი, პ. ქოქიტაშვილი, თ. ესიავა, დ. კოდუა.

33. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, დაბა წყნეთი, სატყეო უბანში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.20.01.010.310) ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ.

(მოწვეული – პ. ქოქიტაშვილი).

34. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ილ. ჭავჭავაძის გამზირის №23-ის მიმდებარედ არსებული ტერიტორიის (საკადასტრო კოდი: №01.14.14.012.057) ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ.

(მოწვეულები – თ. ესიავა, დ. კოდუა).

35. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, მარშალ გელოვანის გამზირის №1-სა და შპს "მეჯუდა"-ს მიმდებარედ, მარშალ გელოვანის გამზირის №1-სა და მაღაზია "პაპილონის" ტერიტორიების მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.10.025.052) ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ.

36. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ზემო დელისის ქ. №№29-31-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.15.012.063) ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ.

37. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, მირიან მეფის გამზირის №11-ში არსებული მიწის ნაკვეთებისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

38. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ჟ.შარტავას ქ. №40-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთებისთვის (საკადასტრო კოდი: №01.10.13.012.007) ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

39. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ალ. ყაზბეგის გამზირის №№36ა-39ა-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

40. ქ. თბილისში, ისნის რაიონში, მესხიშვილის/ავლაბრის ქ. №11/30-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

41. ქ. თბილისში, ისნის რაიონში, ოძისის ქ. №6/8-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

42. ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, მშრალ ხიდთან არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.15.04.030.010) ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

რეკომენდაცია: მშენებლობის ნებართვის გაცემისას, გათვალისწინებული იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 წლის №7-41 გადაწყვეტილებისა და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების მოთხოვნები.

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

38. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ჟ.შარტავას ქ. №40-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთებისთვის (საკადასტრო კოდი: №01.10.13.012.007) ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – ირ. ვერულაშვილი. **AR 1174046**
დადგენილი პარამეტრები – **კ1=0,7.**
არსებული პარამეტრები – **კ1=1,0.**

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- მისაღებია არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით.
- მისაღებია რეკონსტრუქციისთვის, აფიქსირებს არსებულ მდგომარეობას.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით.

1. მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ჟ.შარტავას ქ. №40-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთებისთვის (საკადასტრო კოდი: №01.10.13.012.007) ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

2. არსებული ტერიტორიის განაშენიანების კოეფიციენტი განისაზღვროს: **კ1=1,0.**

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

39. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ალ. ყაზბეგის გამზირის №№36ა-39ა-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – ნ. ფარცხალაძე. **AR 1174502**
დადგენილი პარამეტრები – **კ2=2,5.**
მინიჭებული პარამეტრები – **კ2=3,0. კ2=3,1. კ2=3,3.**
მოთხოვნილი პარამეტრები – **კ2=3,6.**

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.

1. მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ალ. ყაზბეგის გამზირის №№36ა-39ა-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

2. არსებული ტერიტორიის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვროს: კ2=3,6.

რეკომენდაცია: მშენებლობის ნებართვის გაცემისას, გათვალისწინებული იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 წლის №7-41 გადაწყვეტილებისა და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების მოთხოვნები.

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

40. ქ. თბილისში, ისნის რაიონში, მესხიშვილის/ავლაბრის ქ. №11/30-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – ვ. აღაიანი. **AR 1174139**
დადგენილი პარამეტრები – კ1=0,5.
არსებული პარამეტრები – კ1=0,8.

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.

1. მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, რაზმაძის ქ. №68-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

2. არსებული ტერიტორიის განაშენიანების კოეფიციენტი და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვროს: კ1=0,7. კ2=4,5.

რეკომენდაცია: მშენებლობის ნებართვის გაცემისას, გათვალისწინებული იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 წლის №7-41 გადაწყვეტილებისა და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების მოთხოვნები.

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

კომისიის თავმჯდომრის

მოადგილე კახაბერ ნიაური

კომისიის აღმასრულებელი

მდივანი ლევან გეგეშიძე

ქალაქ თბილისის მერი

განკარგულება № 2534

"11" ნოემბერი 2013 წ.

ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზირის №№36ა-39ა-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, “ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე, 26-ე მუხლების და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2013 წლის 7 ნოემბრის სხდომის №44 ოქმის შესაბამისად:

1.ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზირის №№36ა-39ა-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: **კ2=3,6.**

2.სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს ”ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და ”ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ” ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07. წლის №7-41 გადაწყვეტილების შესაბამისად და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების საფუძველზე, ქ. თბილისის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) მოსაკრებლისთვის გახსნილ ანგარიშზე. **მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მერია. მიმღების ბანკი: „სს ლიბერთი ბანკი.” ც/ფ. ბანკის კოდი: LBRTGE22 (220101480) ა/ანგარიში: GE05LB0125152101627747.**

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

4.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

5.წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი უგულავა